



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება N313/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N23.59.31 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების თამარ ასათიანის, ინგა ავალიანისა და თეა ფურცხვანიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

ქ.ქუთაისი

2020 წლის 15 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს „საარჩევნო კოდექსი“ 21-მუხლის „ო“ პუნქტის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-47 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადების საფუძველზე N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. შეუწყდეს, N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N23.59.31 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს თამარ ასათიანს, ინგა ავალიანსა და თეა ფურცხვანიძეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება ვადამდე 2020 წლის 15 ნოემბრიდან, პირადი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N138.) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.



კომისიის თავმჯდომარის მ.შ :

გელა თუთბერიძე

კომისიის მდივნი :

ლარინა ლალიაშვილი